


სექტორის მიმოხილვა


მანდარინის ბაზარი

2025 წელს საქართველოს მთავრობამ გააგრძელა არასტანდარტული (დაბალი ხარისხის) მანდარინის სუბსიდირება და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას 2.6 მლნ ლარი გამოუყო. ადგილობრივმა ციტრუსის გადამამუშავებელმა კომპანიებმა, რომლებმაც ფერმერებისგან არასტანდარტული მანდარინი კილოგრამი მინიმუმ 40 თეთრად შეისყიდეს, მთავრობისგან 35-თეთრიანი სუბსიდია მიიღეს. 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, მანდარინის წარმოება დაახლოებით 25%-ით შემცირდა (66.1 ათასი ტონიდან 49.8 ათას ტონამდე). წინა წლების ზრდა არასტაბილური და მერყევი იყო.

ციტრუსის წარმოება




ციტრუსის წარმოება რეგიონების მიხედვით




წყარო: საქსტატი, 2025

მანდარინის წარმოება მაღალკონცენტრირებულია აჭარის რეგიონში, რომელმაც 2014-2024 წლებში საშუალოდ მთლიანი გამოშვების 73% შეადგინა, მას მოსდევს მცხეთა-მთიანეთი დაახლოებით 20%-ით. რაც შეეხება ექსპორტს, მანდარინის ექსპორტი, თანმიმდევრულად გაიზარდა 2019 წლის 40.6 ათასი ტონიდან 58.0 ათას ტონამდე 2021 წელს, შემდეგ შემცირდა 2022 წელს და ნაწილობრივ აღდგა 2023-2024 წლებში. ერთეულის ღირებულება შედარებით სტაბილური დარჩა დაახლოებით 0.5-0.6 აშშ დოლარის ფარგლებში ტონაზე. ექსპორტის მოცულობა კვლავ შემცირდა 2025 წელს. ძირითადი საექსპორტო ქვეყნები კვლავ დსთ-ის ქვეყნებია. 2014-2025 წლებში მანდარინის ექსპორტის მთლიანი ღირებულების 98%-ზე მეტი სწორედ ამ ქვეყნებზე მოდიოდა. საპირისპიროდ, ევროკავშირის წილი უმნიშვნელოა და ჩვეულებრივ 2%-ზე ნაკლებია. რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირში ექსპორტი ან არ ფიქსირდება ან უმნიშვნელოა.

ციტრუსის ექსპორტი



მანდარინის ექსპორტი ქვეყნის ჯგუფების მიხედვით



წყარო: საქსტატი, 2025; შენიშვნა: * 2025 წლის მონაცემები მოიცავს იანვარ-ნოემბრის პერიოდს

ფასების მიმოხილვა

ადგილობრივი ფასები


თვიურ ჭრილში, 2025 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე ქვეყანაში ფასების დონე გაიზარდა. 2025 წლის ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI), შედარებით მეტად, 0.6%-ით გაიზარდა სექტემბერთან მიმართებით. თვიური ცვლილება სექტემბერში 0.5% იყო, ხოლო ნოემბერში – 0.4%.

2025 წლის სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ყოველთვიური ფასები, სურსათის ფასების ინდექსის (FPI) მიხედვით, ზრდის ტენდენციას ავლენდა. შესაბამისი თვიური ცვლილებები ასეთი იყო: სექტემბერში – 1.4%, ოქტომბერში – 0.3%, ხოლო ნოემბერში – 0.9%.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა თვისთან შედარებით (სექტემბერ-ნოემბერი 2024)



სურსათის ფასების ინდექსი წინა თვისთან შედარებით (სექტემბერ-ნოემბერი 2024)




წყარო: საქსტატი, 2025; შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო.

წლიურ ჭრილში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2025 წლის სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში იზრდებოდა. 2025 წლის ოქტომბერში 2024 წლის ოქტომბერთან შედარებით, ინდექსი 5.2%-ით გაიზარდა, ხოლო სექტემბერსა და ნოემბერში – 4.8%-ით.

2025 წლის ნოემბერში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები წლიურ ჭრილში 10.3%-ით გაიზარდა, რაც სამომხმარებლო ფასების ინდექსზე (CPI) 3.48 პროცენტული პუნქტით აისახა. ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ საკვებ პროდუქტებში:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



ხილი და ყურძენი (16.9%¹)

თევზი (15.5%¹)



ზეთები და ცხიმები (14.9%¹)

წყარო: საქსტატი, 2025

უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე

საერთო ჯამში, საქართველოში საკვები პროდუქტები-სა და უალკოჰოლო სასმელების წლიური ფასები ზრდის ტენდენციას ინარჩუნებდა. 2025 წლის სექტემბერში საკვების ფასის წლიური ცვლილება 11.9%-ს შეადგენდა, ოქტომბერში – 11.7%-ს, ნოემბერში – 10.3%-ს. 2025 წლის ნოემბერში ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა შემდეგ კატეგორიებში:


ხილი და ყურძენი – ფასები გაიზარდა ამ ქვეკატეგორიის ყველა პროდუქტზე. ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა ქლიავზე (101.8%), მსხალზე (53.0%), ლიმონზე (45.5%), ატამსა (35.7%) და ყურძენზე (13.5%). 2025 წლის ნოემბერში ხილისა და ყურძნის ფასების წლიური ზრდა, სავარაუდოდ, განპირობებული იყო სურსათზე ზოგადი ინფლაციით და სეზონურ მიწოდებაზე ზეწოლით. გარდა ამისა, 2024 წლის ნოემბერში ფასები უჩვეულოდ დაბალი იყო, რამაც შექმნა საბაზო ეფექტი და გააძლიერა 2025 წელს დაფიქსირებული წლიური ზრდის ტემპი.

თევზი – ამ კატეგორიაში ფასების ყველაზე შესამჩნევი ზრდა დაფიქსირდა გაყინულ (18.5%), შებოლილ (18.2%) და ახალ (12.7%) თევზზე, კონსერვირებული თევზის ფასი, კი, პირიქით, 1.5%-ით შემცირდა.

ზეთები და ცხიმები – ამ კატეგორიაში ფასები გაიზარდა ყველა საქონელზე. ფასების ყველაზე დიდი ზრდა 2025 წლის ნოემბერში დაფიქსირდა მწესუმზირის ზეთ-

ზე (17.3%), მაიონეზზე (16.0%), კარაქსა და სპრედზე (10.6%) და მარგარინზე (7.6%). თევზისა და ზეთებისა და ცხიმების ფასების წლიური ზრდა განპირობებული იყო იმ ფაქტითაც, რომ 2024 წლის ბოლოს ფასები შედარებით დაბალი იყო, რამაც გააძლიერა 2025 წელს დაფიქსირებული წლიური ზრდის ტემპი.

ფასების წლიური ცვლილება (სექტემბერი - ნოემბერი 2025)



წყარო: საქსტატი, 2025


საერთაშორისო ფასები

2025 წლის სექტემბერ-ნოემბერში საერთაშორისო ფასების ტენდენცია ზრდიდან კლებისკენ შეიცვალა. 2025 წლის ნოემბერში სურსათის ფასების ინდექსი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, ზომიერად შემცირდა – 2.0%-ით 2024 წლის ნოემბერთან შედარებით. წლიური ფასები გაიზარდა ხორცსა (5.5%) და მცენარეულ ზეთებზე (0.6%). ამასთან, ფასები შემცირდა შაქრის (29.9%), მარცვლეულის (5.3%) და რძის პროდუქტების (2.5%) კატეგორიებში.

FAO-ს სურსათის ფასების ინდექსის ვარდნა 2025 წლის ნოემბერში ძირითადად განპირობებული იყო დაბალი საერთაშორისო ფასებით, განსაკუთრებით შაქარზე. შაქრის საერთაშორისო ფასების ვარდნა ძირითადად განპირობებული იყო იმ მოლოდინით, რომ მიმდინარე სეზონზე შაქრის საკმარისი გლობალური მარაგები იქნებოდა. ეს გამოწვეული იყო წარმოების და კარგი მოსავლის მიღების მოლოდინით ძირითად მწარმოებელ ქვეყ-

ნებში, როგორცაა ბრაზილია, ინდოეთი და ტაილანდი, რამაც შეამცირა დეფიციტის მოლოდინი და გაზარდა საექსპორტო მოცულობები – რამაც მსოფლიო შაქრის ფასები დაწია.

საერთაშორისო ფასების წლიური ცვლილება (სექტემბერი - ნოემბერი 2024)





წყარო: FAO, 2025

ვაჭრობის მიმოხილვა

საქართველოს მთლიანი ექსპორტის ზრდის ტენდენცია წლის განმავლობაში გაგრძელდა. 2025 წლის იანვარ-ნოემბერში მთლიანმა ექსპორტმა 6,618 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 10.1%-ით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე (6,009 მლნ აშშ დოლარი 2024 წელს). სოფლის მეურნეობის ექსპორტიც 7.8%-ით გაიზარდა – 1,544 მლნ აშშ დოლარიდან 2024 წლის იანვარ-ნოემბერში 1,664 მლნ-მდე 2025 წელს. ვინაიდან მთლიანი ექსპორტის ზრდის ტემპმა გადააჭარბა სოფლის მეურნეობის ექსპორტის ზრდას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთლიანი წილი მთლიან ექსპორტში 25.7%-დან 25.1%-მდე შემცირდა.

იმპორტიც აგრძელებს ზრდის ტენდენციას. მთლიანმა იმპორტმა 2025 წლის იანვარ-ნოემბერში 16,682 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 9.8%-იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით (15,190 მლნ 2024 წელს). მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის ექსპორტი 7.8%-ით გაიზარდა, სოფლის მეურნეობის იმპორტმა უფრო მაღალი, 18%-იანი ზრდა აჩვენა – 1,977 მლნ აშშ დოლარიდან იან-ნოემ 2024 წელს 2,332 მლნ-მდე იან-ნოემ 2025 წელს. სოფლის მეურნეობის იმპორტის წილი მთლიან იმპორტში მცირედით გაიზარდა – 13.0%-დან 2024 წელს 14.0%-მდე 2025 წელს.



წყარო: საქსტატი, 2025

შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათს


აგრო ექსპორტში 5 წამყვანი პროდუქტის მიხედვით, **დენატურირებული ეთილის სპირტი, სპირტიანი სასმელები, ლიქიორები და სხვა ალკოჰოლური სასმელები** პირველ ადგილზეა 256.4 მლნ აშშ დოლარით 2025 წლის იანვარ-ნოემბერში და მთლიანი აგრო ექსპორტის 15.4%-ს შეადგენდა.

მეორე უმაღლესი ღირებულების საექსპორტო კატეგორია ამ პერიოდისთვის იყო **ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინოები**, რომელიც 244.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინოების ღირებულებამ მთლიანი აგრო ექსპორტის 14.7% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ორივე უმსხვილესი აგრარული საექსპორტო საქონელი, სპირტიანი სასმელები და ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინოები, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით შემცირდა: სპირტიანი სასმელები – 5.2%-ით, ახალი ყურძნის ღვინოები – 6.7%-ით.

წყლის, ნატურალური ან ხელოვნური მინერალური და გაზიანი უმაქრო სასმელების ექსპორტი 160.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, მთლიან ღირებულებაში (4.9%-იანი ზრდა) 9.7%-იანი წილით, 2025 წლის იანვარ-ნოემბრის აგრო ექსპორტში.

შაქრის შემცველი წყლების, მინერალური და გაზიანი წყლების ექსპორტი შეადგენდა 154.7 მლნ აშშ დოლარს 2025 წლის იანვარ-ნოემბერში, რაც 21.1%-ით მეტია 2024 წლის იმავე პერიოდის 127,7 მლნ აშშ დოლართან შედარებით, დაახლოებით 9.3%-იანი წილით 2025 წლის იანვარ-ნოემბრის აგრო ექსპორტში.

თხილისა და სხვა კაკლის ექსპორტიც მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით (62.0% – 90.3 მლნ აშშ დოლარიდან 2024 წლის იანვარ-ნოემბერში, 146.3 მლნ-მდე 2025 წლის იანვარ-ნოემბერში) მთლიანი აგრო ექსპორტის 8.8% წილით.



წყარო: საქსტატი, 2025

შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათს

ISET POLICY INSTITUTE

[აბრეზი მიმოხილვის პუბლიკაციები](#)

ავტორები: გიორგი შავრეშიანი giorgi.shavreshiani@iset.ge
 ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge
 მარიამ ლობჯანიძე m.lobjanidze@iset.ge